13/11/2019

ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს პატრიარქი მეტეხის ხიდზე საზეიმო პარაკლისს გადაიხდის

დღეს, 17:00 საათზე, მეტეხის ხიდთან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ასი ათასი მოწამის სახელობის დღესთან დაკავშირებით მეტეხის ხიდზე საზეიმო პარაკლისს გადაიხდის.

ხიდზე შეკრებილი საზოგადოების წინაშე თეატრალური დადგმით გამოვა შემოქმედებითი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივი“, წარმოდგენით „ასი ათასი წამებულის დღე“.

საეკლესიო კალენდრით, ყოველი წლის 13 ნოემბერს მართლმადიდებელი ეკლესია 100 000 მოწამის ხსენების დღეს აღნიშნავს. საეკლესიო გადმოცემით, საუკუნეების წინ, სწორედ ამ დღეს, ასი ათასი ქართველი წმინდა ხატების თაყვანისცემასა და სარწმუნოების დაცვას შეეწირა. ტრადიციულად, ყოველ წელს საქართველოს ყველა კუთხიდან მრევლი მეტეხის ხიდზე იკრიბება და ერთობლივი ლოცვით მიაგებს მათ პატივს.

— 1tv.ge